გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ასმათ ტალახაძის

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 225 საკითხის განხილვაში. ასევე დავესწარი ბიუროს 35 სხდომას და 416 საკითხის განხილვაში მივიღე მონაწილეობა.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოში". დავესწარი ფრაქციის 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 85 საკითხის განხილვაში.

ვარ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. ჩავატარე კომისიის 13 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 20 საკითხის განხილვაში.

მოგახსენებთ, რომ ჩემს მაჟორიტარულ ოლქში შედის გორის მუნიციპალიტეტის 12 სოფელი: მეჯვრისხევი, ზერტი, კვარხეთი, ფაბრიკის დასახლება, ახალუბანი, აძვი, ჯარიაშენი, მუმლაანთ კარი, ქვეში, ქვემო არცევი, ახრისი, ციცაგიაანთ კარი.

თითოეულ სოფელში შევხვდი მოსახლეობას მერის წარმომადგენლებთან ერთად სოფლის პროგრამისა და სამოქალაქო ბიუჯეტით გამოყოფილი თანხებით პროექტების შესათანხმებლად. ყოველდღიურ რეჟიმში მიწევს მოსახლეობასთან ინდივიდუალური პროლემების მოსმენა და მათთვის ცნობიერების ამაღლება არსებული პრობლემის მოსაგვარებლად.

მივიღე მონაწილეობა სამოქალაქო ბიუჯეტის განხილვის პროცესში და ასევე მოვისმინე გამარჯვებული პროექტების ანგარიშიც.

აქტიურად ვესრებოდი გენდერული საბჭოს სხდომებს, სადაც განხილული იქნა სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში გასვლითი შეხვედრების დროს გამოვლენილი პრობლემების შესახებ, ასევე განხილული იქნა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებებეის შესახებ.

სისტემატიურად ვთანამშრომლობ ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მასმედიის საშუალებებთან მთელ რიგ პრობლემებთან დაკავშირებთ. ჩართული ვარ მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში მათ შორის: სამოქალაქო ბიუჯეტირების სამუშაო ჯგუფში, სადაც აქტიურად ვიღებ მონაწილეობას ბიუჯეტის ფორმირებაში. ჩემი ინიციატივით განხორციელდა სოფელ ზერტში მიმდინარე სასმელი წყლის პროექტი, ასევე სოფ ზერტში საბავშვო ბაღის მშენებლობის მიმდინარე პროექტი, სოფ მეჯვრისხევში სკოლასთან

მისასვლელი გზის პროექტი, რომელიც დასრულებულია. სოფ ახრისში ცენტრალური გზის პროექტი,რომელიც დასრულებულია. სოფ ქვემო არცევში სპორტული სტადიონის პროექტი დასრულებულია. ასევე სოფ ახრისში სპორტული მოედნის მიმდინარე პროექტი.შეძენილია პროექტი სოფ ახალუბნის სასმელი წყლის რეზერვუარის და სისტემის მოწესრიგების.

სოფ მეჯვრისხევში მომავალი წლისათვის, მოსახლეობის მოთხოვნით, გათვალისწინებულია სპორტული და კულტურული კომპლექსის მშენებლობის პროექტის შეძენა, ასევე შიდა საუბნო ცენტრალური გზების რეაბილიტაცია.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ასმათ ტალახაძის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფ. მეჯვრისხევი 2024 წლის 31 ოქტომბერი.

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: მარლენ ნადირაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ასმათ ტალახაძე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: მეჯვრისხევის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის სპეციალისტი ირინა შენგელია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მარლენ ნადირაძე.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის ასმათ ტალახაძის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ასმათ ტალახაძე და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ასმათ ტალახაძეს რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას.

მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ასმათ ტალახაძემ აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ელზა იარდალაშვილმა და გიორგი წიქარიძემ.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: მარლენ ნადირაძე;

საკრებულოს წევრი : ასმათ ტალახაძე.